# გამომძიებლის როლი ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის პროცესში

**დავით ხუციშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2023**

# განაცხადი

ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალს. ნაშრომში თავმოყრილი არაა სხვა ავტორების წარმოდგენილი მასალები, რომელიც არ არის ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

დავით ხუციშვილი, 2023

# აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოკვეთოს გამომძიებლის, როგორც სასხელმწიფოს წარმომადგენლის, როლი ოჯახში ძალადობის საქმეებზე, მათი გამოვლენისა და აღკვეთის პროცესში. აღსანიშნავია, რომ პირველი შეხება მსხვერპლთან გამომძიებელს აქვს. სწორედ გამომძიებლის სწორ და სათანადო კომუნიკაციაზეა დიდწილად დამოკიდებული საქმის შემდგომი ბედი, მათ შორის მსხვერპლი ითანამშრომებს თუ არა მართლმსაჯულების ორგანოებთან. ხშირად მსხვერპლს მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა არ სურს მოძალადის მიმართ სისხლის სამართლებრივი ღონისძიების გატარება და პასუხისგებაში მიცემა. მოცემულ ნაშრომში გააანალიზებულია ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც თან ახლავს ოჯახში ძალადობას, რაც განმეორებითი ბუნებით ხასიათდება და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს შესაძლო მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად. ამდენად, ნაშრომში მოცემულია რისკის მართვის მექანიზმები, როგორც სახელმწიფო ორგანოების დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა და არა როგორც მსხვერპლის აღქმა მოსალოდნელი საფრთხის მიმართ, ვინაიდან თავად სახელმწიფოა ვალდებული შეაფასოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში საფრთხის არსებობა მსხვერპლის მიმართ არსებული რეალობიდან გამომდიანრე, ვინაიდან ძალადობის უარყოფა და მოძალადესთან ყოფნის სურვლი არ ნიშნავს, რომ რაიმე სახის ძალადობას ადგილი არ ჰქონია, პირიქით, ასეთ დროს ყველაზე მეტად იჩენს თავს გამომძიებლის როლი, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით და დაიცვას მსხვერპლი მეორეული ვიქტიმიზაციისგან. საილუსტრაციოდ მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ის შესაძლო მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასა და პირის მსჯავრდებას.



საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, მტკიცებულებათა შეგროვება, საქართველოს კანონმდებლობა, მსხვერპლი.

## Abstract

The paper aims to highlight the role of the investigator as a representative of the state in cases of domestic violence, in the process of their detection and prevention, It should be noted that the investigator has the first contact with the victim. The subsequent fate of the case largely depends on the correct and proper communication of the investigator, among them, whether the victim is a co-worker or not with the justice authorities. Often  especially in the background when the victim, despite the violence against him, does not want to pursue criminal legal measures against the abuser and prefers to remain silent to be held accountable. This paper analyzes the risk factors that accompany domestic violence, which is characterized by a repeated nature and requires a special approach from the state to avoid possible severe consequences. that is, repeated cases of violence that can end in a tragic outcome due to the ineffective response of the state. Thus, the paper presents risk management mechanisms as the ability of state bodies to act independently, and not as the victim's perception of the impending danger. Since the state itself is obliged to assess the existence of a danger to life and health based on the reality of the victim, since the denial of violence and the desire to be with the perpetrator does not mean that some kind of violence did not take place, on the contrary, at such times the role of the investigator appears the most, to conduct an effective and objective investigation in order to establish the truth.  As an illustration, the given paper will discuss the possible evidences, the collection of which will ultimately contribute to the prosecution of the perpetrator and the conviction of the person.


Kay words of the article: Domestic violence, Evidence gathering, Georgian legislation  Victim.